ნინა დრონოვა... ეს მომხიბვლელი გოგონა ტანვარჯიშის ამომავალი ვარსკვლავია. ნინა მხოლოდ 14 წლისაა, მაგრამ უკვე ბევრ თვალსაჩინო წარმატებას მიაღწია და სსრ კავშირის ოლიმპიური ნაკრები გუნდის კანდიდატი გახლავთ. იგი ახლახან დაბრუნდა იაპონიიდან და, უნდა ითქვას, ხელხვავიანადაც.

მ. ზარგარიანის ფოტო.

●

(ნ. დრონოვასადმი მიძღვნილი მასალა იხ. მე-3 გვ.).

17 წუთი და 0,6 წამი — ეს განსაცვიფრებელი შედეგია

სიდნეი, 13 დეკემბერი. 15 წლის ადგილობრივმა მოსწავლემ შეინ გოულდმა მთელი სპორტული სამყარო აალაპარაკა: „ასეთი რამ ისტორიას არ ახსოვს“, „ხუთი მსოფლიო რეკორდი ერთ წელიწადში!“, „შეინმა სიტყვა შეასრულა!“... ასეთი სათაურებით გამოეხმაურნენ ავსტრალიის გაზეთები გოულდის გუშინდელ განსაცვიფრებელ მიღწევას 1500 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში, როცა მან ეს მანძილი 17 წუთსა და 0,6 წამში გაცურა და ერთბაშად 16,6 წამით გააუმჯობესა ცნობილი ამერიკელი სპორტსმენის კეტი კელჰაუნის მსოფლიო რეკორდი.

ჩვენი კომენტარი

დავუბრუნდეთ ზემოაღნიშნულ სათაურებს. ასეთი რამ სამყაროს მართლაც არ ახსოვს. ცურვის ისტორიაში არ ყოფილა შემთხვევა, რომ სპორტსმენს ერთ სეზონში ხუთი მსოფლიო რეკორდი დაემყარებინოს. ახლა გოულდს თავისუფალი სტილით ცურვაში 100 მეტრიდან 1500 მეტრამდე დისტანციებზე ეკუთვნის უმაღლესი მიღწევები (100-მეტრიან მანძილზე მსოფლიო რეკორდს — 58,9 წამს — იგი თანამემამულე დონ ფრეზერთან იყოფს).

რაც შეეხება მესამე სათაურს, გაგახსენებთ, რომ დეკემბრის დამდეგს 800 მეტრზე ცურვაში მსოფლიო რეკორდის დამყარების შემდეგ გოულდმა კორესპონდენტებს უთხრა, 12 დეკემბერს 1500-მეტრიან დისტანციაზე შევეცდები მსოფლიო რეკორდის დამყარებასო. როგორც ხედავთ, ამ ფენომენალურმა მოცურავე გოგონამ სიტყვა შეასრულა.

ც უ რ ვ ა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 249
(4499)

1971 წ.
15 დეკემბერი,
ოთხშაბათი.
ფასი 2 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის
1934 წლის
13 აპრილიდან

ხუთი რგოლის ნიშნით

სსრ კავშირის ოლიმპიური გუნდის კანდიდატები პირობას დებენ, რომ მაღლა ატარებენ საბჭოთა სპორტის დროშას



ალისფერ ტილოზე ვ. ი. ლენინის პორტრეტია გამოსახული. ზედვე ოქროს ძირმებით ამოქარგულია სიტყვები: „საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ოლიმპიური ნაკრები“... ამ დროშისთვის ბევრჯერ დაუკრავთ ტაში სხვადასხვა კონტინენტის სტადიონებზე მას შემდეგ, რაც 1952 წელს საბჭოების ქვეყნის წარგზავნილები პირველად გამოვიდნენ ოლიმპიურ სარბიელზე. 13 დეკემბერს ამ დროშას კვლავ ტაშით შეეგებნენ, როცა მსოფლიო რეკორდსმენმა, პლანეტის ყველაზე ღონიერმა კაცმა ვ. ალექსეევმა იგი მოსკოვის სასტუმრო „როსიაში“ სსრ კავშირის კულტურის სამინისტროს სახელმწიფო საკონცერტო დარბაზში შემოიტანა.

პრეზიდიუმში არიან: საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ე. ტიაჟელნიკოვი, პროფკავშირთა ცენტრალური საბჭოს მდივანი ვ. ბოგატიკოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდის განყოფილების გამგის მოადგილე ი. სკლიაროვი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარე ს. პავლოვი, საბჭოთა კავშირის ორგზის გმირი, არმიის გენერალი დ. ლელიუშენკო, საბჭოთა კავშირის გმირები ა. ლიაპიდევსკი და ლ. პავლიჩენკო, წარმოების მოწინავენი, სპორტულ ორგანიზაციათა ხელმძღვანელები.

აქ შეგეძლოთ გენახათ სპორტული მედლების იშვიათი „კოლექცია“. მთავრობის მაღალ ჯილდოებთან ერთად მედლები უმშვენებდა მკერდს მოწინავე საბჭოთა ათლეტებს — ოლიმპიური თამაშების, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონებს, რომლებიც თავიანთ მწვრთნელებთან, სპორტის მეცნიერების წარმომადგენლებთან, საპატიო სტუმრებთან ერთად მოვიდნენ ამ დარბაზში XX ოლიმპიური თამაშებისთვის მზადებისადმი მიძღვნილ კრებაზე.

დიახ, წინა ოლიმპიადებში მართლაც ბევრი გამარჯვების აღმნიშვნელი ჯილდო მოიპოვეს ალისფერ მაისურებში გამოწყობილმა ათლეტებმა, რომელთაც დიდ სარბიელზე გაიტანეს საბჭოთა ფიზკულტურული მოძრაობის ძალა, სოციალისტური წყობის უპირატესობა. ახლა კი მსოფლიო დგას მომავალი ოლიმპიური წლის კარიბჭესთან, როცა საუკეთესოთა შორის საუკეთესოებმა კვლავ უნდა დაიცვან თავიანთი ქვეყნის სპორტული დროშის ღირსება. და კვლავ მილიონობით ადამიანი ყურადღებით მიადევნებს თვალს ტელერეპორტაჟებს ოლიმპიადის სარბიელიდან, ეთერში დაიჭერს უკანასკნელ ცნობებს შეჯიბრების მსვლელობაზე, გულთან მიიტანს ბრძოლის ყოველ მომენტს და მის მონაწილეებთან ერთად გაიხარებს.

საყოველთაო სიყვარული და ყურადღება დიდ პასუხისმგებლობასაც აკისრებს სპორტსმენებს, რომელთაც წილად ხვდებათ დიდი პატივი — ჩაიცვან მაისურები სსრ კავშირის გერბით. სამშობლომ მათ მისცა ყველა შესაძლებლობა ოსტატობის სრულყოფისთვის, მისცა საუკეთესო სასახლეები, სტადიონები, დარბაზები. და სპორტის მოყვარულები ელიან, რომ საბჭოთა ოლიმპიელები ძალას არ დაზოგავენ საწვრთნელ მეცადინეობებზე, გამოავლენენ გამარჯვებისკენ დიდ სწრაფვას მეტოქეებთან ბრძოლაში.

„თქვენ წილად გხვდათ უდიდესი პატივი — დაიცვათ საბჭოთა კავშირის სახელი ოლიმპიურ თამაშებში. დაე თითოეულმა თქვენგანმა თავი ჩათვალოს საბრძოლო რაზმის წევრად, რომელსაც სამშობლომ უბრძანა: „გამარჯვება!“ — ეს სიტყვები საბჭოთა კავშირის გმირების ვ. სამსონოვისა და მ. ქანთარიას ბარათიდან ოლიმპიელებისადმი მოიყვანა თავის მოხსენებაში სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის თავმჯდომარემ ს. პავლოვმა.

სპორტსმენთა ამავე მოვალეობაზე ლაპარაკობდნენ საბჭოთა კავშირის გმირი, სსრ კავშირის მფრინავი-კოსმონავტი ა. ლეონოვი, საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის წევრი, მოსკოვის ლიხაჩოვის სახელობის ავტოქარხნის მუშაკი ბ. არგატოვი, რსფსრ-ს უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, ლენინური პრემიის ლაურეატი, სსრ კავშირის სახალხო არტისტი, კინორეჟისორი ს. ბონდარჩუკი.

დედობრივ დარიგებად გაისმა ტრიბუნიდან რ. ზნამენსკაია — სამამულო ომის წლებში სამშობლოსთვის ბრძოლაში გმირულად დაცემული ორი სპორტსმენის დედის სიტყვები.

ოლიმპიადის საპატიო კვარცხლბეკისკენ გზა იოლი არ არის. იგი სპორტსმენებისგან მოითხოვს ძალას და ოსტატობას, მაღალ მორალურ თვისებებს, კოლექტივისთვის მხარდაჭერას, თავისი დროშის ღირსების დაცვის უნარს. საამისო ძალა შესწევთ მხოლოდ ნამდვილ მებრძოლებს, იმ საბჭოთა ათლეტთა მსგავსებს, რომლებიც წინა ოლიმპიური თამაშებიდან ჯილდოებით გვიბრუნდებოდნენ. ახლა ისინი გამარჯვების ესტაფეტას საბჭოთა სპორტსმენთა ახალ თაობას გადასცემენ და სწამთ, რომ იგი საიმედო ხელშია. ამ სულისკვეთებით იყო გამსჭვალული საბჭოთა სპორტის ვეტერანთა ბარათი ჩვენი მომავალი ოლიმპიელებისადმი, რომელიც ორგზის ოლიმპიურმა ჩემპიონმა ვ. ჩუკარინმა წაიკითხა.

საბჭოთა კავშირის ოლიმპიური ნაკრების კანდიდატთა სახელით გამოვიდა ევროპის პირველობის ოქროს პრიზიორი, 1971 წელს საბჭოთა კავშირის საუკეთესო მძლეოსანი ვ. ბორზოვი. მან მადლობა გადაუხადა პარტიასა და მთავრობას სპორტსმენებისადმი მზრუნველობისთვის და თავისი ამხანაგების სახელით პირობა დადო, რომ მომავალ ასპარეზობაში ეცდებიან კიდევ უფრო მაღლა აღმართონ საბჭოთა სპორტის დროშა. შემდეგ ბორზოვმა დაიჩოქა და ოლიმპიელთა დროშას ემთხვია.

საბჭოთა კავშირის გმირებმა, გამოჩენილმა მხედართმთავრებმა, დიდი სამამულო ომის ვეტერანებმა, ოლიმპიადების ჩემპიონებმა და პრიზიორებმა სპორტსმენებს სსრ კავშირის ოლიმპიური ნაკრები გუნდის კანდიდატთა სამკერდე ნიშნები გადასცეს, ასპარეზობაში წარმატებები უსურვეს.

• • •

ს უ რ ა თ ზ ე: სსრ კავშირის ოლიმპიური ნაკრები გუნდის კანდიდატის სამკერდე ნიშანი.

20 დეკემბერს

საქართველოს პროფსაბჭოს სხდომათა დიდ დარბაზში (გრიბოედოვის ქ. № 19) მოწვეულია „განთიადის“ ცენტრალური საბჭოს VII პლენუმი.

დღის წესრიგი:

„საბჭოთა კავშირის ხალხთა V სპარტაკიადაში „განთიადის“ სპორტსმენების მონაწილეობის შედეგები და XX ოლიმპიურ თამაშებისთვის მზადებაში „განთიადის“ ფიზკულტურული ორგანიზაციების ამოცანები“.

დასაწყისი 12 ს.

ოლიმპიური სოფლის პირველი ბინადარი

საპორო, 13 დეკემბერი. ოლიმპიურ სოფელში, სადაც XI „თეთრი თამაშების“ მონაწილეები იცხოვრებენ, პირველი ბინადარი გამოჩნდა. ეს გახლავთ 23 წლის ავსტრალიელი ინჟინერი ჯეიმს ლიხჩი — ერთადერთი მოციგურავე, რომელიც საპოროს თამაშებში წარმოადგენს „მწვანე კონტინენტს“ (ავსტრალიის გუნდში სულ 9 კაცია).

როცა გაზეთი [illegible] [illegible] იყო... 1945

◆ **მიუნხენი, 14 დეკემბერი.** ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის მფლობელი — რიგის „დაუგავის“ (ტტტ) კალათბურთელ ქალთა გუნდი, ამ პრიზის გათამაშების მეოთხედფინალში 1972 წელს პრაღის „სპარტას“, პლოვდივის „მარიკას“ და ბუდაპეშტის „ედიეტერტეშ“ შეხვდება. პირველ მატჩს რიგელები 6 იანვარს შინ გამართავენ ჩეხოსლოვაკიის ჩემპიონთან. მეორე ქვეჯგუფში ნახევარფინალის საგზურებს ერთმანეთს შეეცილებიან კრაკოვის „ვისლა“, სარაევოს „ჟელეზნიჩარი“, მილანის „ჯეას სესტო სან-ჯოვანი“ და კლერმონ-ფერანის „კლერმონი“.

◆ **ბარსელონა, 14 დეკემბერი.** ჟ. ბუენოს პრიზზე აქ გამართული ტრადიციული საერთაშორისო კროსი ახალგაზრდა ინგლისელმა სტაიერმა ი. სტიუარტმა მოიგო. 6850-მეტრიანი მანძილი მან 18 წუთსა და 43,6 წამში გაირბინა. ფინიშთან მეორე იყო ესპანელი სალგადო — 18.50,5.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სანდრო კანდელაკის მემკვიდრეები



ქართველი ფალავნისა და გოლიათის სანდრო კანდელაკის სახელთან ბევრი საამაყო მოგონებაა დაკავშირებული. დიდი ფიზიკური ძალის მოჭიდავე წარმატებით ესპარეზებოდა იმდროინდელ საქვეყნოდ ცნობილ ათლეტებს პ. ზაგორუიკოს, ი. ზაიკინს და, ასე გასინჯეთ, თვით ი. პოდდუბნისაც. ქართველმა ხალხმა დიდი სასოებით შემოინახა ცნობილი მოჭიდავის სახელი და მის უკვდავსაყოფად სპორტული სეზონის მიწურულს დააწესა შეჯიბრება რესპუბლიკის აბსოლუტური ჩემპიონის წოდებაზე. პირველი ასეთი ასპარეზობა შარშან მოეწყო. ს. კანდელაკის სახელობის პრიზს მაშინ თბილისელი შ. გულიაშვილი დაეპატრონა.

წლევანდელ ფალავნობაში ძალას ცდიდა თბილისის, ქუთაისის, ცხინვალის, გორის, თელავის, კასპისა და ყვარლის 23 რჩეული მოჭიდავე. იყო მათ შორის, რა თქმა უნდა, საპატიო ჯილდოს შარშანდელი მფლობელი გულიაშვილიც, რომელსაც ტიტულის შენარჩუნება ჰქონდა გადაწყვეტილი.

ქართული ჭიდაობის მოტრფიალენი, მთელი გულითა და სულით ამხნევებდნენ იმათ, ვინც აქტიურად და გაბედულად ჭიდაობდა, და პირიქით, პასიური ბრძოლის მომხრეებს, ასეთები კი, სამწუხაროდ, ამჯერადაც ბლომად იყვნენ, სტვენითა და უკმაყოფილო შეძახილებით აცილებდნენ.

თბილისის სპორტის სასახლეში შეკრებილთა საყოველთაო სიმპათია დაიმსახურა გორელმა თ. წითელაურმა. თავის მეტოქეებზე აშკარად მსუბუქი (წითელაური მხოლოდ 80 კილოგრამს იწონის), იგი გამარჯვებას აქტიურ და ტემპიან ბრძოლაში ეძებდა. სწორედ ამ ტაქტიკის წყალობით დაამარცხა წითელაურმა ფიზიკურად ძლიერი კასპელი ა. მალაციძე, რომელიც მთელი 30 კილოგრამით მეტს იწონიდა.

ტურნირისთვის სხვებზე უკეთ მომზადებული აღმოჩნდა შ. გულიაშვილი. მან წარმატებით სძლია მეტოქეებს, ხოლო როცა ყვარლელ ი. ელოშვილსაც მოუგო, ფაქტიურად გზა გაიწმინდა ფინალისკენ.

გადამწყვეტ ეტაპზე ერთმანეთის პირისპირ წარსდგნენ ძველი სპორტული მეტოქეები შ. გულიაშვილი, ა. ბარკალაევი (ყვარელი), ა. ქელიხაშვილი (თბილისი) და ზ. ბეთლემიძე (გორი). გულიაშვილის ჭიდილმა თბილისელთან და ყვარლელთან გამარჯვებული ვერ გამოავლინა, მაგრამ, ვინაიდან მანამდე მას დამარცხებული ჰყავდა ბეთლემიძე, პირველობაცა და გარდამავალი ჯილდოც დაისაკუთრა. იგი მეორედ გახდა სანდრო კანდელაკის მემკვიდრეთა შორის უპირველესი.

აღნიშნული ტურნირის პარალელურად ჩატარდა ასპარეზობა ჭაბუკებში თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის პრიზზე. ჯილდო მოიპოვა თბილისელმა ნ. მელიქიძემ („სპარტაკი“).

ნ. ფცქიალაძე.

• • •

სურათებზე: შ. გულიაშვილი (მარცხნივ); ნ. მელიქიძე; მწვავე მომენტი ა. მალაციძისა და ჯ. ნინოშვილის შეხვედრაში.

მ. ზარგარიანის ფოტოები.

ახალ ხუთწლედში — ახალი ამოცანები

•

„სპარტაკის“ რესპუბლიკური საბჭოს პლენუმზე

•

„სპარტაკის“ რესპუბლიკური ორგანიზაციის მორიგი ამოცანები საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად“, „საბჭოთა კავშირის ხალხთა V სპარტაკიადაში საზოგადოების სპორტსმენთა მონაწილეობის შედეგები და შემდგომი ამოცანები“, — ამ საკითხების განხილვას მიეძღვნა „სპარტაკის“ რესპუბლიკური საბჭოს პლენუმი, რომელიც ამას წინათ თბილისში გაიმართა.

პირველ საკითხზე მოხსენებით გამოსულმა რესპუბლიკური საბჭოს საორგანიზაციო მუშაობისა და კადრების განყოფილების გამგემ გ. ზაალიშვილმა აღნიშნა განვლილ ხუთწლედში საქართველოს სპარტაკელთა წარმატებები. მან თქვა, რომ საზოგადოებას შეემატა 252 ფიზკულტურული კოლექტივი და 70 ათასამდე წევრი. სპორტული სექციები 103 ათასი კაცით შეივსო. ათეულ ათასობით გაიზარდა საწარმოო ტანვარჯიშში, ტურიზმსა და გამაჯანსაღებელ ჯგუფებში მომეცადინეთა რიცხვი. მარტო თბილისში საწარმოო ტანვარჯიშის მეთოდისტთა ოჯახი 30 კაცით შეივსო. რესპუბლიკაში ამჟამად დასაქმებული 275 ფიზკულტურული მუშაკიდან 225-ს სპეციალური უმაღლესი განათლება აქვს.

მოწინავეთა გამოცდილების განზოგადებას ემსახურება რესპუბლიკურ, საოლქო საქალაქო და რაიონულ საბჭოებთან არსებული მუდმივმოქმედი სემინარები. კადრების სწორად შერჩევამ და განაწილებამ, საზოგადოებრივი აქტივის უნარიანმა გამოყენებამ, შიდასაკოლექტივო პირველობების, განსაკუთრებით კი ჯანმრთელობის სპარტაკიადების ავტორიტეტის ამაღლებამ, სოციალისტურმა შეჯიბრებებმა და კონკურს-დათვალიერებებმა განამტკიცეს კოლექტივები. ამან განაპირობა, რომ ვადამდე და დიდი გადაჭარბებით განაღდებულიყო ნიშნოსანთა და თანრიგოსანთა, აგრეთვე, საზოგადოებრივი კადრების მომზადების გეგმა-ვალდებულებები. ხუთწლედში მომზადდა 6 საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი, 143 სპორტის ოსტატი და 175 სპორტის ოსტატობის კანდიდატი. პირველთანრიგოსანი გახდა 2229 სპორტსმენი.

ოქროს 21, ვერცხლის 18 და ბრინჯაოს 15 მედალი — ასეთია სპარტაკელთა ნადავლი სსრ კავშირის, ევროპისა და მსოფლიო პირველობების სარბიელზე. მასობრივ-გამაჯანსაღებელ მუშაობასთან ერთად სპორტული ოსტატობის დონის ამაღლებას დიდ ყურადღებას უთმობენ სპორტკლუბები „სინათლე“, „ისინდი“ და „მშენებელი“, თბილისის წყალსადენის სამმართველო, მექანიკური ქარხნის, ქუთაისის კოოპერაციული და ბათუმის საბჭოთა ვაჭრობის ტექნიკუმების, სოხუმის საგალანტერეო ფაბრიკის, სამტრედიის დაფნის გადამამუშავებელი კომბინატის, თერჯოლის მექანიკური ქარხნის, გორის საკონსერვო კომბინატის ფიზკულტურული კოლექტივები. მომხსენებელმა მოწინავე მწვრთნელთა შორის დაასახელა მ. ოსიყმაშვილი, ვ. ქოჩიაშვილი, ზ. ყიფშიძე, ე. ლომთაძე, გ. ბოგდანოვი...

გ. ზაალიშვილმა ნაკლოვანებებიც აღნიშნა. მან თქვა, რომ ადიგენის, ბოგდანოვკის, ახმეტის, დმანისისა და მარნეულის რაიონებში ფიზკულტურასა და სპორტში დღემდე მხოლოდ მუშამოსამსახურეთა 20 პროცენტია ჩაბმული. საწარმოო ტანვარჯიშისა და მასობრივ-გამაჯანსაღებელი მუშაობის ორგანიზაცია ბევრგან მოისუსტებს, საშუალო და სპეციალურ სასწავლებლებს არა აქვთ გამაჯანსაღებელი ბანაკები, სამეურნეო და პროფკავშირული ორგანიზაციების დახმარებას ბევრგან სათანადოდ ვერ იყენებენ, არ ხორციელდება კოოპერირების გზით და არაცენტრალიზებული ფინანსური წყაროებით სპორტული ბაზების მშენებლობა.

მეორე საკითხზე პლენუმის წინაშე მოხსენებით წარსდგა საზოგადოების თავმჯდომარის მოადგილე ნ. როგაქიძე. მან თქვა, რომ საბჭოთა კავშირის ხალხთა V სპარტაკიადის ყველა ეტაპის მასობრივად და ორგანიზებულად ჩატარებისთვის სათანადო ღონისძიებანი დროულად ჩატარდა. სპარტაკელებმა რესპუბლიკურ ასპარეზობაში გუნდური IV ადგილი დაიკავეს. საკავშირო სპარტაკიადის სარბიელზე 13 სახეობაში საქართველოს ნაკრებში 42 სპარტაკელი გამოდიოდა, მაგრამ ყველა მათგანი საპრიზო ადგილს მიღმა დარჩა. ამ წარუმატებლობის ნიშნები რესპუბლიკურ სპარტაკიადაშიც შეიმჩნეოდა. ადრინდელი პოზიციები დათმეს თანამედროვე ხუთჭიდელებმა, ფრენბურთელებმა და კალათბურთელებმა (ქალები), ველოსიპედისტებმა (ტრეკი), ტანმოვარჯიშეებმა და მოცურავეებმა. მიზეზი ის იყო, რომ ცენტრალური სექციები არადამაკმაყოფილებლად მუშაობდნენ.

საზოგადოების ნაკრებს საოლქო, საქალაქო და რაიონული საბჭოები სათანადო შევსებას არ აძლევდნენ. სპარტაკიადისთვის მზადების პერიოდში არ იგრძნობოდა სათანადო მხარდაჭერა ცალკეული ორგანიზაციებისა და სასწავლებლების ხელმძღვანელთა მხრივ. ჯეროვნად არ სრულდება რესპუბლიკის ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის დადგენილება „სპორტულ სექციებში, ბავშვთა სპორტსკოლებში, უმაღლესი სპორტული ოსტატობის სკოლებში მუშაობის მოწესრიგების შესახებ“. საზოგადოებას კეთილმოწყობილი ბაზები არა აქვს.

განხილული საკითხების ირგვლივ გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღეს შ. დვალაძემ (აფხაზეთი), მ. ჯოჯუამ (აჭარა), მ. გალანდაძემ (თბილისი), ჯ. ავიციანმა (ქუთაისი), ა. ცხოვრებაძემ (გორი), ვ. ფაილოძემ (წყალტუბო), ს. ცხადაძემ (ზესტაფონი), შ. ნაცვალაძემ (სპორტკლუბ „სინათლის“ უფროსი ინსტრუქტორი), მ. ოსიყმაშვილმა (უფროსი მწვრთნელი თავისუფალ ჭიდაობაში).

თამაშობენ სტუდენტები

✦ თბილისი

პუშკინის სახელობის პედინსტიტუტში დამთავრდა შიდასაკოლექტივო სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრებები შაშში, ჭადრაკში, მაგიდის ჩოგბურთში და მძლეოსნობაში. შაშში პირველობა მოიპოვა პედაგოგიურმა ფაკულტეტმა, მძლეოსნობასა და ჭადრაკში — საბუნებისმეტყველო-გეოგრაფიის ფაკულტეტმა, ხოლო მაგიდის ჩოგბურთში — რუსული ფილოლოგიის ფაკულტეტმა.

ნ. აფხაზავა.

✦ ზესტაფონი

რკინიგზის მე-7 საშუალო სკოლაში ახლახან გაიმართა შიდასაკოლექტივო შეჯიბრებები კალათბურთში, ფრენბურთში, მძლეოსნობაში და ფეხბურთში. შესაბამისად ამ სახეობებში I ადგილები დაიკავეს IX^2, X^2, VIII^1 და VIII^2 კლასების გუნდებმა.

ა. განუგრაშა.

✦ ხობი

ადგილობრივ 1-ლ საშუალო სკოლაში გაიმართა შიდასაკოლექტივო სპარტაკიადა. მოსწავლეები ასპარეზობდნენ ორ ასაკობრივ ჯგუფად. უფროსი ასაკის ჯგუფში I ადგილი მოიპოვეს XI^1 კლასის წარმომადგენლებმა, უმცროსი ასაკის ჯგუფში — VIII^1 კლასის მოსწავლეებმა.

ზ. ხერგია.

„ჭადრაკი“ №2

ამ დღეებში გამოვიდა გამომცემლობა „განათლების“ (დირექტორი ხ. ბერულავა) ალმანახი—„ჭადრაკი“ № 2.

ალმანახში კვლავ სრულადაა წარმოდგენილი ოთხივე განყოფილება — პარტიები და ფრაგმენტები, დებიუტების თეორია, საკონსულტაციო-მეთოდური კუთხე და კომპოზიცია, აგრეთვე, რუბრიკები — „ჩვენს რესპუბლიკაში“, „ჩვენს დიად სამშობლოში“, „ყოველი მხრიდან“.

მკითხველთა ყურადღებას უთუოდ მიიქცევს გ. გამრეკელის ნარკვევი ნ. ალექსანდრიას შესახებ — „ნიჭი, ელვარება და მგზნებარება“, თვით ნანასა და მისი მწვრთნელის, დიდოსტატ ბ. გურგენიძის წერილები ოხრიდის საზონათშორისო ტურნირზე, ოსტატ თ. გიორგაძის წერილი ნ. გაფრინდაშვილისა და ბ. სპასკის მონაწილეობაზე გეტებორგის ტურნირში, ა. ფირცხალავას „მიხეილ ბოტვინიკი 60 წლისაა“, ოსტატ მ. შიშოვის „ვიქტორ ვოგლიძის მემორიალი“ და სხვ.

საინტერესოა დიდოსტატ ე. გუფელდის წერილი „სპასკის პროგნოზი გამართლდა“, რაც პეტროსიან — ფიშერის მატჩს შეეხება, აგრეთვე, ოსტატ ა. ბუსლაევის „პრეტენდენტები უტევენ ოლიმპს“.

ალმანახში მკითხველი გაეცნობა ოსტატთა კარგ პარტიებს, ამოცანებსა და ეტიუდებს. სხვათა შორის, კომპოზიციის განყოფილებაში შემოღებულია რუბრიკები — „ცნობები საკომპოზიციო სარბიელიდან“, „ორიგინალური შემოქმედება“ და „კლასიკური მემკვიდრეობა“, სადაც საყურადღებო ნაწარმოებებია დასტამბული.

უნდა ითქვას, რომ ეს ნომერი გადატვირთულია შეჯიბრებათა ანგარიშებით. ზოგი წერილი შეიძლებოდა უმტკივნეულოდ შემცირებულიყო. მაშინ ალმანახს მიღმა არ დარჩებოდა საქართველოს ვაჟთა და ქალთა წლევანდელი ჩემპიონატები, რესპუბლიკური და საკავშირო ფესტივალები (ერთზე დაბეჭდილია ძალიან მოკლე ინფორმაცია), ქართული ჭადრაკის ისტორიის საკითხები და სხვ.

სასურველია, რომ გაისად გაიზარდოს ალმანახის პერიოდულობა და ტირაჟი (ახლა იგი 4 ათასი ცალია), რათა იგი ხელმისაწვდომი იყოს ჭადრაკის მოყვარულთა უფრო ფართო მასისთვის.

19 45

◆ **ნიუ-იორკი, 14 დეკემბერი.** 23 ქვეყნის, მათ შორის, საბჭოთა კავშირის სტუდენტურმა სპორტულმა ორგანიზაციებმა გამოთქვეს ზამთრის VII უნივერსიადაში მონაწილეობის სურვილი. პროგრამაშია სათხილამურო რბოლები, ფიგურული ციგურაობა, ჰოკეი, სამთოსათხილამურო სპორტი, ციგურებით ხწრაფრბენა. ეს „თეთრი უნივერსიადა“ ნიუ-იორკის შტატის ქალაქ ლეიკ-პლასიდში გაიმართება 1972 წელს 28 თებერვლიდან 5 მარტამდე.

◆ **გოტვალდოვი, 14 დეკემბერი.** 15 წლის ლენინგრადელმა მოსწავლემ გ. გლუხარევმა გაიმარჯვა აქ გამართულ ტრადიციულ შეჯიბრებაში საშობაო პრიზზე. იგი საუკეთესო იყო 200 მეტრზე გულაღმა ცურვაში — 2.19,8. მთავარი გაცურვა — 1500 მეტრზე თავისუფალი სტილით — მოიგო ევროპის ჩემპიონმა გ. ლარსონმა (შვეცია) — 16.47,6.

◆ **ბურნემუთი, 14 დეკემბერი.** აქ გაიმართა ინგლისისა და გდრ-ის მოკრივეთა ნაკრები გუნდების შეხვედრა. გაიმარჯვეს სტუმრებმა — გერმანელმა სპორტსმენებმა — 8:2 (შეჯიბრებაში არ მონაწილეობდნენ 67 კგ-მდე და 81 კგ-ს ზევით წონითი კატეგორიების წარმომადგენლები, სამაგიეროდ, 71 კგ-მდე წონაში ორი მოკრივე გამოვიდა).

ასი ათასი იმედის გოგონა

ოლიმპიური ნაკრების კანდიდატები

ნარკვევი

ბავშვობა თითოეულ ჩვენგანს ოქროს სიზმრივით აქვს წარმოდგენილი. სიყრმის წლებში თითქოს უფრო ლაღად, უფრო მხიარულად იცინის მზე, თითქოს უფრო მწვანეა ხასხასა მდელოც... საოცარი ხანაა ბავშვობა, საოცარი და სანატრელი. შორეთიდან იწვდის ბავშვობა ჩვენსკენ ხელებს, კვლავ გვაგონდება ოქროსფერი სიზმრები და მზით გაკაშკაშებული უდარდელი დღეები. მაგრამ ეს მხოლოდ მეხსიერების ვარდისფერ ბურუსში გახვეული მოგონებებია. სინამდვილე კი აქ არის, ახლოს, დიდი ქარხნის მახლობლად. ამ ქარხანაში შემოდიან და გადიან ახოვანი, ხელებდაკოჟრილი მუშები, რომლებიც მომქანცველი ჯარჯის შემდეგ ხშირად აღებენ ფართო დარბაზის კარს, რათა ეზიარონ სილამაზეს, სინაზეს, ბავშვობას... მაშინ ძალაუნებურად ფიქრობ, რომ სპორტს არანაკლები ესთეტიკური ღირებულება აქვს, ვიდრე პოეზიას, მუსიკას, ფერწერას...

გარეთ, ტანვარჯიშული დარბაზის კედლებს იქით, ზუზუნებს დეკემბრის ცივი ქარი. ფანჯრებს ეყრება ზამთრის სუსხით დამჭკნარი, გაყვითლებული ფოთლები. ქარი ებრძვის დარბაზში დაღვრილ ფორტეპიანოს მხიარულ მელოდიას, სინაზეს, სილამაზეს... დეკემბერშიც ამ დარბაზში მაისის ვარდებივით ჰყვავიან პატარა გოგონები, რომლებსაც ჯადოსნური თამაში გაუმართავთ. ისინი საოცრად ჰგვანან დღეას მოცეკვავეებს, ოღონდაც ბავშვობის მადლიანი სხივით მირონცხებულებს.

ხასხასა მოლივით გაშლილა იატაკზე ფარდაგი ეს ტანვარჯიშული ხალიჩაა. გასახდელებიდან შემოდიან სიფრიფანა გოგონები. მათ ვარდივით ულვივით სახე. ერთმანეთში ირევა ათასი ფერი, ათასი ღიმილი, ათასი ოცნება და იმედი. აქედან, ამ დარბაზიდან, რომელიც თბილისის გარეუბანში მდებარეობს, იწყება გზა მოსკოვისა და ლენინგრადისკენ, ლონდონისა და პარიზისკენ, არაღისა და იოკოჰამასკენ. ერთმა მათგანმა, საშუალო ტანის, ცისფერთვალება გოგონამ უკვე დატოვა ეს დარბაზი და ამ გრძელ, საინტერესო გზას დაადგა. ის ჯერ შუამდეც არ მისულა, ჯერ მხოლოდ გზის დასაწყისშია.

მასზე უკვე ბევრი რამ დაიწერა. კიდევ უფრო მეტი დაიწერება მომავალში

მე დღეს სწორედ ამ გოგონაზე მინდა გიამბოთ, გოგონაზე, რომელსაც უყვარს ტანვარჯიში, ზღვა, ტყე და თოჯინები.

წერილის დასაწყისში აკი ვახსენეთ ოქროსფერი სიზმრებივით ლამაზი ბავშვობის დღეები მოდა, ეს ლამაზი ბავშვობა ახლა თითქოს წუთით გაცოცხლდა ჩემს თვალწინ: ვისმენ ამ ნაკადულივით წმინდა ბავშვობის ხმას და მსურს თქვენთან ერთად ვეზიარო მის საოცარ მომხიბვლელობას.

ბავშვობას ათასი იმედის ხანას ეძახიან, მას კი ამ ვერცხლისწყალივით დაუდეგარ, უნიჭიერეს გოგონას, ასი ათასი იმედის გოგონა ჰქვია. ეს ფიგურალური გამოთქმა არ გეგონოთ. მისი ავტორები თავაზიანი მასპინძლები — იაპონელები არიან. ამ ქვეყნის შვილებს ზედმიწევნით აქვთ განვითარებული სილამაზის შეგრძნება, მათ ნინა დრონოვა ალუბლის რტოს შეადარეს, ასი ათასი იმედის გოგონა შეარქვეს. მოდით, ჩვენი საუბარიც დრონოვას იაპონური შთაბეჭდილებებიდან დავიწყოთ.

— იაპონია ძალიან ლამაზი ქვეყანაა.. იქ ძალიან უყვართ ტანვარჯიში. ტანვარჯიში უყვართ იმიტომ, რომ ისიც ლამაზია. აქ არ მოსწონთ ქალების ფეხბურთი. იაპონელების აზრით, გოგონა ნაზი უნდა იყოს. ყველაზე ტალისმიერი ილეთებიც კი იაპონელთა შესრულებით ძალზე ლამაზია და სინაზით შემკული.

დრონოვას ნათქვამს შეგვიძლია დავუმატოთ, რომ იგი შემთხვევით არ მიუწვევიათ იაპონიაში. თბილისელი გოგონას სახელი ახლა ყველა კონტინენტზე ჰქუხს. და ვინ იცის, იქნებ მიუნჰენში იგი უფრო პოპულარული გახდეს, ვიდრე მეხიკოში მომხიბვლელი ნატაშა კუჩინსკაია იყო.

— მე არ მინახავს ნატაშაზე მიმზიდველი ტანმოვარჯიშე. იგი ძალიან კარგი იყო, ძალიან.. აი, დაახლოებით ისეთი. როგორიც ლესელიძეში ზღვის სანაპიროა.

ჩვენი, უფროსების გაგებით, ნინა ჯერ კიდევ სრულიად ნორჩია. ასე გვგონია არა მარტო ჩვენ, ტანვარჯიშის დილეტანტებს, ასე ფიქრობენ იაპონიის ტანვარჯიშის სპეციალისტებიც. ეს აზრი გამოიტანეს ადრინდელი კინოფირებისა და ფოტოსურათების, აგრეთვე, პირადი შთაბეჭდილებების მიხედვით. ბოლოს ნინა იაპონელებმა შარშან ნახეს რიგაში. მაშინ ფიქრობდნენ: დრონოვა ტანვარჯიშის ულამაზესი ყვავილია, რომელიც ჯერ არ გაშლილაო. იგი გაიშლება არა მიუნჰენში, არამედ მონრეალშიო. მაგრამ იაპონელები ერთობ წინდახედული ხალხია და დრონოვას ნახვა ახლაც მოინდომეს. აქაოდა საინტერესოა, ვინ იქნება ჩვენი გოგონების კონკურენტი მონრეალის ოლიმპიურ თამაშებშიო.

ისინი შეცდნენ, და ეს უმალ აღიარეს. რიგის ტურნირის შემდეგ ერთი წელი გავიდა. ამ ერთ წელიწადში დრონოვა ისეთი სისწრაფით გაიზარდა, როგორც ზღაპრებში იფურჩქნებიან ჯადოსნური ყვავილები. იაპონელებმა, ამერიკელებმა და უნგრელებმა ნახეს, რომ დრონოვას სახით კიდევ ერთი კაშკაშა ვარსკვლავი აკიაფდა ტანვარჯიშული ცის კაბადონზე. იგი გამოვა მიუნჰენში, აუცილებლად გამოვა. — აი, რა დაასკვნეს თვალსაჩინო სპეციალისტებმა. ნუ ავჩქარდებით, მიუნჰენის ოლიმპიადა არც ისე ახლოა. მანამდე ყველაფერი გაირკვევა.

— ბედნიერი ვარ, რომ იაპონიაში თვით ტურიმჩევას მოვუგე. ეს მანამდე შეუძლებლად მეჩვენებოდა. მე ახლაც ვფიქრობ, ის ჩემზე ძლიერი ტანმოვარჯიშეა. როცა იარაღთან მიდის, სულ იღიმება, არაფრის ეშინია. ასევე ამთავრებს ვარჯიშს. არ ვიცი, როგორ პოულობენ მის გამოსვლებში მსაჯები შეცდომებს. ეტყობა, დიდი ყურადღებით აკვირდებიან. ჩვენ გამოვედით სამ ქალაქში — ნაგოიაში, კობესა და იოკოჰამაში. სიამოვნებით ვასპარეზობდით. რა თქმა უნდა, მოგება ყველას უნდოდა, მაგრამ მთავარი ის იყო, ვის რისი გაკეთება შეეძლო. ხანდახან ვასრულებდით ისეთ რთულ ვარჯიშებსაც, რომლებსაც გადამწყვეტ ოფიციალურ შეჯიბრებაში უბრალოდ ვერ უჩვენებ. ამიტომ იაპონური „გასტროლები" კონცერტებს დაემსგავსა. მოგება კი მაინც ძალიან კარგია, ეს ახარებთ მწვრთნელებს, მშობლებს მეგობრებს, თანატოლებს (ამ სიტყვებზე ნინა ხელით გვანიშნებს დარბაზში მოვარჯიშე გოგონებზე).

ხანდახან მწვრთნელთან ერთად დიდი ხნის მანძილზე ქმნი რომელიმე რთულ, ლამაზ ილეთს. გგონია, რომ ეს სილამაზე ძნელია ვინმე სხვამ გაიგოს. თურმე, სულაც არა. მაგალითად, იაპონელი მაყურებლები ზედმიწევნით აფასებენ, მოწონებით ხვდებიან თვით ვარჯიშის უმნიშვნელო ნიუანსებსაც კი. მე არ მესმის, რატომ ეშინია ზოგიერთ ტანმოვარჯიშეს დიდი აუდიტორიის წინაშე გამოსვლა. რა სჯობს იმას, როცა შენს უნარს ერთდროულად ათასობით ადამიანს უჩვენებ. ასე იყო ყველგან, სადაც კი გამოვსულვარ. იაპონიაშიც ასე იყო, მაყურებელი მამხნევებდა, ძალას მმატებდა მეც ნაღლიერების გრძნობით აღვსილი მონდომებას ვაათკეცებდი.

... ის, რაც იაპონიაში მოხდა, კარგად იციან ტანვარჯიშის მოყვარულებმა. დრონოვამ ჭეშმარიტად გააოცა ამომავალი მზის ქვეყანა, სადაც ძალიან კარგად იციან ტანვარჯიშის ყადრი. ნინას პოპულარობა კიდევ უფრო გაზარდა მისმა სინორჩემ. იაპონელებს ხომ განსაკუთრებით უყვართ ბავშვები, ნიჭიერი ბავშვები კი მით უმეტეს.

ისინი ამიერიდან მუდამ ნინასთან ერთად იქნებიან — სასაცილო, ლამაზ-ლამაზი იაპონური თოჯინები. ისინი ნინასთან ერთად ივლიან დიდ შეჯიბრებებზე, ვარჯიშებზე, საზეიმო შეხვედრებზე. ეს თოჯინები ნინას იაპონელებმა აჩუქეს, თან სთხოვეს აუცილებლად ჩაეტანა მიუნჰენშიც. იაპონიაში მოპოვებული მრავალრიცხოვანი მედლები თავის ერთ-ერთ ყველაზე საყვარელ მწვრთნელს „სერგო-მასწს" (ასე ეძახის ნინა სერგო ბურჯანაძეს) ჩააბარა, თოჯინები კი თვითონ დაიტოვა.

— ნუ დაგავიწყდებათ, რომ ნინა ჯერ კიდევ ბავშვია (ამას გვეუბნება მისი მწვრთნელი ვალენტინა კლიმოვა). ვერა და ვერ შევაგნებინეთ ამ დაუდეგარ გოგონას, რომ მედლებს თვალისჩინივით უნდა გაუფრთხილდეს. წარმოიდგინეთ, თოჯინებს უფრო მეტ პატივს სცემს, უვლის, ეფერება, მედლები კი ხან სადა აქვს მიყრილი ხან სად... იაპონიიდან ჩამოსვლა ვერ მოასწრო, რომ ერთი მედალი სადღაც დაკარგა. ჩვენც გადავწყვიტეთ მედლები შევინახოთ, სანამ თოჯინებთან თამაშს თავს არ დაანებებს.

ჩვენ გიამბობთ 14 წლის გოგონაზე, რომელიც ანგარიშგასაწევ ძალად იქცა საერთაშორისო სარბიელზე, მაგრამ ჯერ კიდევ თოჯინებთან თამაშობს. დრონოვას პირველი ნაბიჯები ცხადად ახსოვს ყველას, ვინც მას იცნობს.

რომელ გოგოს არ უნდა ეზიაროს სილამაზეს, პლასტიკას, გრაციას, მონაწილეობა მიიღოს წარმტაც სპორტულ ასპარეზობებში. ასეთი სილამაზის სამჭედლოა ტანმოვარჯიშეთა სკოლები, დარბაზები, ათასნაირი მოედნები, სპორტულ-გამაჯანსაღებელი ბანაკები. ამ ლამაზ ატმოსფეროში იფურჩქნებიან ჩვენი ტანვარჯიშის ყვავილები. ტანვარჯიში ნებისმიერი ფიზკულტურის გაკვეთილის აუცილებელ შემადგენელ ნაწილად იქცა. ამ დიდ მოძრაობაში ასი ათასობით ბავშვია ჩაბმული. ამბობენ, ყველა ნორჩი პოტენციური ჩემპიონიაო რამდენად სამართლიანია ეს მოსაზრება? თქმა არ უნდა, ტანვარჯიში სპორტის საყოველთაო, სახალხო სახეობაა, მაგრამ ჩემპიონები ხდებიან მხოლოდ ისინი, ვისაც დიდი, კაშკაშა ტალანტი აქვს. სად უნდა ვეძებოთ ეს ტალანტები? ამ კითხვაზე პასუხის გაცემა ერთბაშად ვერ მოხერხდება. ყველა მწვრთნელს ძიების საკუთარი მეთოდი აქვს.

ცხოვრობდა ერთი გოგონა, სწავლობდა სკოლაში, ესწრებოდა ფიზკულტურის გაკვეთილებს. თითქოს არაფრით გამოირჩეოდა თანატოლებისგან. რომ გვკითხათ, უყვარდა თუ არა ტანვარჯიში, შეიძლება გარკვეული პასუხი ვერც მოეცა. ბავშვებს მოწოდების გარკვევა უჭირთ. აი, სად არის საჭირო

ს უ რ ა თ ზ ე: ნ. დრონოვა ათვალიერებს იაპონურ გაზეთს.
მ. ზარგარიანის ფოტო.

● ●

უფროსების ფხიზელი თვალი. ერთ მშვენიერ დღეს ნინას გამოესაუბრა სპორტის ოსტატი ლენა ბოგოლიუბოვა. ლენა დრონოვას სკოლაში სწავლობდა და მწვრთნელთა თხოვნით ნიჭიერ გოგონებს აკვირდებოდა, შემდეგ კი რეკომენდაციას უწევდა დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის ტანვარჯიშის სპორტულ სკოლაში მისაღებად. ლენას მსგავსად სხვა ტანმოვარჯიშეებიც ეძებდნენ ნორჩ ტალანტებს, მომავალ ჩემპიონებს. ასეთი გახლდათ მწვრთნელ ს ბურჯანიძის მეთოდი.

ლენამ პატარა ნინა სპორტულ სკოლაში მიიყვანა. რა თქმა უნდა, არც მან და არც მწვრთნელებმა არ იცოდნენ, რომ საქმე ჰქონდათ მომავალ ვარსკვლავთან

— მართლაც ასე იყო, — ამბობს ს. ბურჯანაძე, — მაგრამ პატარა ნინას იმთავითვე აღმოაჩნდა საუცხოო არტისტული მონაცემები, შრომისმოყვარეობა, მისი ასაკის კვალობაზე საოცარი ძალა და გამბედაობა. გოგონა პოეტური ნიჭით იყო დაჯილდოებული. ლექსების წერა აუცილებელი არ არის. პოეტია ისიც, ვისთვისაც ახლობელი და გასაგებია გარემომცველი სილამაზე, ვისაც შეუძლია მიბაძოს წეროების გადაფრენას, ბალახის შრიალს, შქლის ნუკრის კუნტრუშს. სწორედ ასეთი იყო ჩვენი ნინა. სიძნელეები? ხშირად გვხვდებოდა, მაგრამ ყველაფერი უფრო იოლ ფორმებში წარიმართა. უკვე პირველმა შეჯიბრებებმა ცხადყო, რომ ნინა შორს წავიდოდა.

მწვრთნელებმა დრონოვას თვითმყოფად ნიჭს ფართო სარბიელი მისცეს, დახვეწეს, ჩამოქნეს, გაალამაზეს. თითქოს მარგალიტი ნიჟარიდან ამოიღეს და აალაპლაპეს. მარგალიტს კი უკვე ყველა ხედავს. ნინას ყურადღება მიაქციეს საბჭოთა ნაკრების მწვრთნელებმაც. ასე დაიწყო დიდი სპორტული გზა. ეს გზა მხოლოდ დაიწყო და უკვე ასეთი თვალსაჩინო გამარჯვებებით მოიფინა, ვინ იცის, მერე რა იქნება.

— ტანვარჯიში სპორტის ისეთი სახეობაა, რომელსაც ჰაერივით სჭირდება სანახაობრივი მხარის სილამაზე. უამისოდ იგი ძალიან ბევრს წააგებდა. ქალთა ტანვარჯიშში ამ მომენტს თითქმის გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება. ხალალე, პლასტიკა, გრაცია, — აი, რას მოვითხოვთ ალსაზრდელებისგან. ამას მოითხოვენ მსაჯებიც და მაყურებლებიც. მადლობა ღმერთს, ეს მონაცემები უხვად აქვს ნინა დრონოვას.

იგი ოდნავ უფრო ნაზად ასრულებს ვარჯიშს, ოდნავ უფრო ლაღია, ოდნავ უფრო გულღია ღიმილი აქვს, ვიდრე დანარჩენებს. სწორედ ეს „ოდნავ" იძლევა ეფექტს. ნინას ვარჯიში ვერავის ტოვებს გულგრილს, თვით მსაჯებსაც კი. რაც შეეხება ტანვარჯიშის წმინდა სპორტულ მხარეს, ვფიქრობთ, არც ამაში დაუდებს ტოლს ვინმეს ჩვენი ნინა. დღეს თქვენ მოგდით მისი განსაცვიფრებელი წარმატებების ამბავი, ის კი ჩვენთვის, მწვრთნელებისთვის, ჯერ კიდევ ზრდადაუმთავრებელი ყლორტია, რომელიც სამხრეთის მზის ქვეშ იზრდება.

ამას ამბობს ვ. კლიმოვა, რომელსაც ნინა დედობილს ეძახის. ამ ყლორტს მზრუნველობა არ აკლია: ს. ბურჯანიძისა და ვ. კლიმოვას გარდა ნინას სპორტულ ოსტატობას ხვეწენ ქორეოგრაფები ნანა ხერხეულიძე და ეთერ ხუბულავა, აკრობატი რობერტ სარვაზიანი.

ჩემპიონის ბუნება მხოლოდ სპორტული ინტერესებით არ შემოიფარგლება. ხშირად ხასიათის ეს ნიშნები უცნობია ადამიანებისთვის. ჩვენი აზრით კი ჩემპიონის წარმატებები არა მარტო ვარჯიშის ხანგრძლივობით განისაზღვრება, არამედ იმითაც, თუ რა მოსწონს, რა უყვარს, რით არის გატაცებული სპორტსმენი, ერთი სიტყვით, ყოველივე იმით, რაც მოზარდს პიროვნებად აქცევს. ნინას გატაცებით უყვარს მუსიკა, განსაკუთრებით, ნელი, უპრეტენზიო მელოდია, ცისფერი და ვარდისფერი გამა, ლესელიძის ზღვის სანაპირო, დაბურული ტყეები, ისტორია და გეოგრაფია (აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ სპორტი მის სასკოლო წარმატებებს ხელს არ უშლის, თუმცა დიდ დროსართმევს). მისი უახლოესი მეგობარია მზია ფხაკაძე; „ჩემსავით უყვარს ზღვა და ტანვარჯიში, ხშირად უმიზეზოდ ვიცინით, ვკისკისებთ (იაპონიაში ყოფნის დროს ნაკრების მწვრთნელებმა მეტი სერიოზულობისკენ მომიწოდეს). მზიასთანა მეგობარი მე მართლაც არა მყავს. ის ჩემი მესაიდუმლეა. ძალიან კარგი გოგოა რუსიკო სიხარულიძე. იაპონიაში ყოფნის დროს ჩემი გამარჯვებები ყველაზე მეტად მას ახარებდა.

ნინას ძალიან უყვარს ზღაპრები. ზღაპრების გმირებთან ერთად მოგზაურობს არარსებულ ქვეყნებში, რომლებიც, მიუხედავად ამისა, ხილული და ახლობელია.

იქნებ ამიტომაც ეძახიან მას ასი ათასი იმედის გოგონას.

საოცარი ხანაა ბავშვობა, საოცარი და სანატრელი. შორეთიდან იწვდის ხელებს ბავშვობა ჩვენსკენ, კვლავ გაგონდება ოქროსფერი სიზმრები და მზით გაკაშკაშებული უდარდელი დღეები. მაგრამ ეს მხოლოდ ვარდისფერ ბურუსში გახვეული მოგონებებია. სინამდვილე კი აქ არის, ახლოს, დიდი ქარხნის მახლობლად. ეს ქარხანა მშობლიური და ახლობელიცაა ასი ათასი იმედის გოგონასთვის... აქ მუშაობენ მისი ნიჭის ყველაზე გულმხურვალე თაყვანისმცემლები. ერთ-ერთი მათგანია ქარხნის დირექტორი, ტანვარჯიშის უსაზღვროდ მოყვარული იაკობ ხვედელიანი, როცა ნინა იაპონიიდან დაბრუნდა, იგი მამაშვილურად შეხვდა ნორჩ ჩემპიონს და უთხრა: ახლა შენ ყველა გიცნობს, შენ ჩვენი საყვარელი გოგონა ხარ, კვლავაც ყოფილიყავი ამ დიდი სიყვარულის ღირსიო...

ა. გოგელია.



中日スポーツ

13歳のドロノワ 首位

アカネが小差で一番



東京中日スポーツ

あと8カ月 戦いは始まった

იაპონურმა პრესამ დიდი ადგილი დაუთმო არა მარტო ნ. დრონოვას გამოსვლებს, არამედ მასთან დაკავშირებულ სხვა დეტალებსაც. აი, იაპონიის გაზეთებში გამოქვეყნებულ ამ სურათებზე თქვენ ხედავთ დრონოვას ვარჯიშისას და... სიმღერის დროს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭადრაკი

პრეტენდენტთა ფინალური მატჩი დამთავრდა

გაიმარჯვა კუშნირმა — 6,5 : 2,5

კისლოვოდსკი, 14 დეკემბერი (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.). დღეს აქ ნ. ალექსანდრია (თბილისი) — ა. კუშნირის (მოსკოვი) მატჩის გუშინ გადადებული IX პარტია დამთავრდა.

როგორც ვიუწყებოდით, კუშნირს ჭარბი მატერიალური უპირატესობა ჰქონდა — ეტლი, კუ, მხედარი და პაიკი ლაზიერში. თამაშის განახლებისას კუშნირმა კიდევ ერთი პაიკი მოიგო. ალექსანდრია ცდილობდა კონტრთამაშის ორგანიზებას, მაგრამ მარტოხელა ლაზიერით რას გახდებოდა!

როცა მეფის ფრთის პაიკებმა ლაფა დატოვეს, კუშნირმა შავების ცენტრალურ პაიკს შეუტია. 57-ე სვლაზე, როდესაც ამ პაიკის გადარჩენა უკვე აღარ შეიძლებოდა, ალექსანდრიამ ფარ-ხმალი დაყარა.

აი, როგორ მოხდა ეს:

კუშნირი (თეთრები): მფe1, ეc7, კc3, მf6, პპ. a2, b2, d5, g3, h2.

ალექსანდრია (შავები): მფd8, ლd3, პპ. a7, b7, d6, g4.

41. ე:b7 (ჩაწერილი სვლა) 41. ... ლe3+ 42. მფd1 a5 43. ეh8+ მფc7 44. ეe8 ლf3+ 45. მფc2 a4 46. a3 ლf2+ 47. მფb1 ლ:h2 48. ეe4 ლ:g3 49. ე:g4 ლd3+ 50. მფa2 ლd1 51. ეd4 ლc2 52. მe4 მფd7 53. მd2 ლd1 54. მc4 ლb3+ 55. მფb1 ლb7 56. კb4 ლa7 57. ეd2. შავები დანებდნენ.

პრეტენდენტთა მატჩი დამთავრდა კუშნირის გამარჯვებით — 6,5:2,5. ამრიგად, მოსკოველმა მოჭადრაკემ მესამედ მოიპოვა მსოფლიო ჩემპიონ ნ. გაფრინდაშვილთან მატჩის თამაშის უფლება. ეს მატჩი 1972 წლის აპრილ-მაისში შედგება.

ხვალ ალექსანდრია — კუშნირის მატჩი საზეიმოდ დაიხურება.

• • •

გაფრინდაშვილისა და კუშნირის ბრძოლა ჭადრაკის დედოფლის ტახტისთვის 1965 წლიდან მიმდინარეობს. 1965 და 1969 წლების მატჩებში გაიმარჯვა ნონამ ერთნაირი ანგარიშით — 8,5:4,5. დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ მათი მესამე პაექრობა უაღრესად დაძაბული იქნება: კუშნირის მესამედ პრეტენდენტობა მხოლოდ-მხოლოდ მის გაუტეხელ ხასიათზე, ერუდიციაზე და საკუთარი ძალის უტრეტ რწმენაზე მეტყველებს.

ორბიტაზე ახალგაზრდები არიან

გასაკვირი როდია, რომ ფართო საზოგადოებრიობას აინტერესებს, როგორ თამაშობენ ახალგაზრდა საბჭოთა დიდოსტატები ვ. ტუკმაკოვი, ა. კარპოვი და ი. ბალაშოვი, რომლებიც ახლახან გამოჩნდნენ დიდი ჭადრაკის სარბიელზე.

ახლა, როცა ა. ალიოხინის მემორიალი მიიწურა, შეიძლება ითქვას, რომ ახალგაზრდა დიდოსტატები ძლიერად თამაშობენ. მათი წარმატებები ევროპისა და ამერიკის კონტინენტების საერთაშორისო ტურნირებში შემთხვევითი არ ყოფილა.

ვ. ტუკმაკოვმა და ა. კარპოვმა ისე განვლეს 14 ტური (XIV ტური გუშინწინ შედგა), რომ პარტია არ წაუგიათ. ტუკმაკოვს გარკვეული მიზანი ჰქონდა: შეესრულებინა საერთაშორისო დიდოსტატის ნორმატივი (8 ქულა). XIV ტურში ტ. პეტროსიანთან შეხვედრა მან ყაიმით დაასრულა და საჭირო ქულებიც მოაგროვა.

20 წლის კარპოვი სსრ კავშირისა და საერთაშორისო დიდოსტატია. იგი საპრიზო ადგილს უმიზნებს და ფინიშზე დიდი აღმავლობითაც თამაშობს. XIII ტურში დ. ბრონშტეინთან პარტია მან ზედმეტი პაიკით გადადო, XIV ტურში კი ვ. კორჩნოის სძლია. ეს პრინციპული და მნიშვნელოვანი გამარჯვებაა. დარჩენილ სამ ტურში კარპოვს არანაკლებ მრისხანე მეტოქეები ჰყავს — ლ. შტეინი, ვ. სმისლოვი და ვ. სავონი.

ვერ გაამართლა იმედები 22 წლის ი. ბალაშოვმა. როგორც ჩანს, იგი ვერ შეასრულებს საერთაშორისო დიდოსტატის ნორმატივს. ბალაშოვმა ხუთი პარტია წააგო, XIV ტურში კი იუგოსლაველ ბ. პარმასთან დამარცხდა.

ძველი გვარდია კვლავ მოწოდების სიმაღლეზეა. ლიდერთა უმრავლესობას სწორედ ისინი შეადგენენ. 14 ტურის შემდეგ ლ. შტეინს 9,5 ქულა აქვს, ვ. სმისლოვს — 9, ტ. პეტროსიანს — 8,5, დ. ბრონშტეინს — 8 (1). შემდეგ მოდიან ვ. ტუკმაკოვი — 8, ა. კარპოვი — 7.5 (2) და მ. ტალი — 7 (2). ამ ქულებში შესულია XIV ტურის ნაჯაფარიც: შტეინ — ტალის, სმისლოვ — სპასკის, ბრონშტეინ — ჰორტის, სავონ — ულმანის, ოლაფსონ — ხორნისა და ლენდიელ — კარპოვის შეხვედრათა ყაიმები.

ჩვენი მოძმე ★ რესპუბლიკებში

[illegible] ჰოკეისტებს

საგანგებოდ — „იზვესტიის“ ტურნირისთვის

ტალინის ფაბრიკა „ტეგურმა“ საბჭოთა კავშირში პირველმა დაიწყო ბურთების გამოშვება ბალახის ჰოკეისთვის.

ამ საწარმოში უკვე უშვებენ ბურთებს რუსული ჰოკეისთვის. პროდუქციას სპორტსმენთა დიდი მოწონება ხვდა.

ჰოკეისტთა მომავალი საერთაშორისო ტურნირისთვის „იზვესტიის“ პრიზზე ფაბრიკამ საგანგებოდ დაამზადა შაიბები ასპარეზობის ემბლემით.

ს უ რ ა თ ზ ე: საჩუქრები ჰოკეისტებისთვის.

პ. კუზნეცოვის ფოტო.

ოჯახური დუეტი

ლიდია ახმილოვსკაიასა და მისი ქალიშვილის ლენას პარტია ერთ-ერთი ცენტრალური ორთაბრძოლა იყო კრასნოიარსკის მხარის მოჭადრაკე ქალთა ჩემპიონატში. გამარჯვება დარჩა დედას, რომელმაც 11-დან 9,5 ქულა მოაგროვა და მხარის ჩემპიონი გახდა. ლენამ II ადგილიდან მეოთხეზე გადაინაცვლა.

უმცროსი ახმილოვსკაია რსფსრ-ს ნორჩ მოჭადრაკეთა ნაკრების გუნდის წევრია. მაგრამ ჭადრაკი მისი ერთადერთი გატაცება როდია: ლენა წარმატებით მეცადინეობს მათემატიკურ წრეშიც.

კრასნოიარსკი.

კოლექციონერის... სპორტული მუზეუმი

რიგის ლენინის სახელობის რაიონში რაიაღმასკომის გადაწყვეტილებით სპორტული მუზეუმი იხსნება. მას საფუძვლად დაედება 78 წლის პენსიონერის ვ. შმიდბერგის მდიდარი კოლექცია. შმიდბერგი დიდხანს მუშაობდა მბეჭდავად და ფოტოფირზე წარსულის ბევრი სპორტული შეჯიბრება აქვს აღბეჭდილი.

შმიდბერგი 60 წლის მანძილზე აქტიურად იყო ჩაბმული სპორტში. თავიდან, ჯერ კიდევ პირველი მსოფლიო ომის დაწყებამდე, იგი სიმძიმეების აწევითა და ბერძნულ-რომაული ჭიდაობით იყო გატაცებული. ლატვიელი წითელი მსროლელი, მემარცხენე ესერთა ამბოხების ჩაქრობის მონაწილე, წითელი არმიის რიგებში პერეკოპამდე მივიდა. მერე დაიჭრა და შეჯიბრებებში ვეღარ მონაწილეობდა. ახლა მან მსაჯობა და კოლექციონერობა დაიწყო. როგორც საკავშირო კატეგორიის საპატიო მსაჯი, ვოლდემარ შმიდბერგი ახლაც ხშირად უზის სამდივნო მაგიდას, როცა ძალოსანთა დიდი შეჯიბრებები ტარდება.

ვეტერანის არქივშია ათასობით ფოტოსურათი, რომლებზეც აღბეჭდილია, მაგალითად, ი. პოდდუბნისა და ი. კრაუზეს გამოსვლები. მას შენახული აქვს უამრავი პროგრამა, შეჯიბრების ოქმი, აფიშა, უნიკალური სპორტული გამოცემა.

შმიდბერგს აქვს გასული საუკუნის ველოსიპედები, წვეტიანი ჭოკი — 1914 წლის რუსეთის II ოლიმპიადის სახსოვარი, ამ 60 წლის წინ ხელით გაკეთებული შტანგა. კედლებზე გამოფენილია რიგელ სპორტსმენთა მიერ რუსეთის I და II ოლიმპიადებში მოპოვებული ბევრი მედალი. შმიდბერგი ინახავს 1900 წლის მედალს, რომელზეც წარწერა პირველადაა გაკეთებული ლატვიურ ენაზე: „სვეიკს!“ („სალამი!“). მანამდე ყველა პრიზზე წარწერებს მხოლოდ გერმანულ ენაზე აკეთებდნენ.

სპორტსმენებმა იცოდნენ, რომ შმიდბერგი ყველაფერს თვალისჩინივით გაუფრთხილდებოდა და ხშირად თავიანთ ნადავლ პრიზებსაც კი აძლევდნენ საჩუქრად.

ე. კეხრისი.

რიგა.

პრიზი — ცოცხალი ცხვარი

მოლდავეთის V სპარტაკიადის ოქროს მედლების მფლობელთაგან ეროვნულ ჭიდაობა „ტრინგაში“ მხოლოდ პირველთანრიგოსანმა მ. ტობარჩამ შეძლო გაემეორებინა ეს წარმატება რესპუბლიკურ პირად შეჯიბრებაში. ქალაქ კოტოვსკში მან ჩემპიონის წოდება მოიპოვა და სპორტის ოსტატის ნორმატივი შეასრულა.

„ტრინგას“ ისტორია შუა საუკუნეებიდან იწყება, მაგრამ ამ სახეობას დღესაც არ დაუკარგავს პოპულარობა. შეჯიბრება ყველა ძველი რიტუალის დაცვით ტარდება. ჭიდაობის დროს ხალხური საკრავები უკრავს, პრიზად კი ერთი ცოცხალი ცხვარია დაწესებული. მოჭიდავეები ხალიჩაზე შარვლებით (განიერი ფერადი სარტყელით) და რბილი ფეხსაცმელებით გამოდიან.

„ტრინგა“ მოლდავეთის მოჭიდავეებისთვის სპორტული ოსტატობის სკოლის „დაწყებითი“ კლასია. თუ სპორტსმენთა ორთაბრძოლებს ყურადღებით დავაკვირდებით, სამბოს, თავისუფალი ჭიდაობისა და ძიუდოს ილეთების მთელ არსენალს შევნიშნავთ. ფინალიც იგივეა — ბეჭებზე დაგდება.

საბჭოთა კავშირის ჩემპიონს სამბოში გ. კოტიკს, ძიუდოში ევროპის პირველობის ვერცხლის პრიზიორ ვ. გუცუს, ახალგაზრდა სპორტის ოსტატს თავისუფალ ჭიდაობაში პ. გროსუს და სხვებს დიდი ხალიჩისკენ სწორედ „ტრინგამ“ გაუკაფა გზა. ამ სახეობაში ყოველწლიურად ტარდება სოფლის სპორტსმენთა პირველობები, მოზრდილთა, ჭაბუკთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური შეჯიბრებები (ახლა კი მოლდავეთის ჩემპიონატებიც).

ვ. ლისეევი.

კიშინიოვი.

ხალიჩაზე — 360 ათლეტი

რიბინსკში დამთავრდა სამბისტთა საკავშირო ტურნირი მარშალ ვ. ბლიუხერის პრიზზე. სულ პირად-გუნდურ ასპარეზობაში მოკავშირე რესპუბლიკების 360 უძლიერესი ათლეტი მონაწილეობდა. I ადგილი დაიცვა რუსეთის ფედერაციის ნაკრებმა. ტურნირი, რომელიც პირველად ჩატარდა, ამიერიდან ტრადიციად იქცევა.

ს უ რ ა თ ზ ე: მსაჯმა შეჯიბრების მანძილზე ეს მეექვსედ აღმართა სსრ კავშირის სპორტის ოსტატ ა. ფიოდოროვის ხელი. ათლეტმა ექვსი გამარჯვება მოიპოვა შეხვედრის პირველ წუთებზე და თავის წონით კატეგორიაში ოქროს მედალი დაისაკუთრა.

ი. დინინის ფოტო.

სპორტის სიყვარული

კომბინატ „უკრზაპადუგოლის“ პროფილაქტორიუმი სოფელ კომაროვის მახლობლად ტყეშია გაშენებული. ახლა მას ახალი სპორტული კორპუსი შეემატა. აქვეა საცურაო აუზიც. კომბინატის მუშა-მოსამსახურეებს უყვართ ცურვა. მათ ემსახურება მეშახტეთა ქალაქ ჩერვონოგრადის სპორტის სასახლის აუზიც.

საწყლოსნო სპორტს დიდ პატივს სცემენ როზდოლის სამთო-ქიმიური კომბინატის მუშა-მოსამსახურეებიც. დახურული 25-მეტრიანი აუზი უკვე ვეღარ იტევს ცურვის ყველა მოყვარულს, ამიტომ შენდება ორი ღია აუზი გათბობით.

ლვოვი.

საოცრად ზუსტი...

სოფელ ტულჩევის ახალგაზრდა ტრაქტორისტმა ა. ლუციუკმა ერთბაშად 50 „სპორტლოტოს“ ბარათი წარადგინა გასანაღდებლად. ეს ბილეთები მან დაბადების დღისთვის იყიდა და თავისი საყვარელი სახეობებიც აღნიშნა. მექანიზატორი საოცრად ზუსტი აღმოჩნდა: 49 ბარათზე ლუციუკმა 4-4 მოსაგები ნომერი გამოიცნო, ერთზე კი 3. იღბლიანი შევსებული ბარათების რიცხვით ლუციუკი ქვეყნის თავისებური რეკორდსმენი გახდა. ლუცკის ცენტრალურმა შემნახველმა სალარომ ტრაქტორისტს 2797 მანეთი გადაუხადა.

ლუცკი.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. ლენინის ქ. № 14. უე 12434